

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს

საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა საინიციატივო ჯგუფის

მიმართვა

როგორც 28 აგვისტოს, თქვენი საგანგებო განცხადებიდან გახდა ცნობილი, სამეურვეო საბჭო საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის, გიორგი ბარათაშვილისადმი უნდობლობის გამოცხადების წინადადებით გამოდის.

აქვე, შიდა კორპორატიული მიმოწერის გამოქვეყნებით, ნათელი გახდა იმ კრიზისული ვითარების გაღრმავების შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ თებერვალში დაიწყო მაუწყებელში, მენეჯმენტსა და სამეურვეო საბჭოს შორის.

ჩვენც ვთვლით, რომ ახალ მენეჯმენტს გარკვეული შეცდომები აქვს, რომელიც გამოწვეულია რიგი სუბიექტური და ობიექტური გარემოებებით. თუმცა, ურთიერთობის ის ფორმა, რომელიც სამეურვეო საბჭომ დღეს აირჩია მენეჯმენტთან ურთიერთობაში, საბჭოს წლების წინ უნდა განეხორციელებინა.

საინიციატივო ჯგუფი იმავე აზრზე რჩება, რაც გასული წლის 21 დეკემბერს სამეურვეო საბჭოსთან შეხვედრის დროს გამოხატა - იმისათვის, რომ მაუწყებელი ყოველგვარი ზეწოლისგან გათავისუფლებულიყო და კრიზისი დაეძლია, საჭირო იყო კრიზისის მართვის ჯგუფის შექმნა. მაშინ სამეურვეო საბჭომ არ გაიზიარა ჩვენი მოსაზრება, რითაც უკვე არსებული კრიზისი კიდევ უფრო გააღრმავა.

მხოლოდ 2 სექტემბერს, საინიციატივო ჯგუფის რეკომენდაციით, მოხერხდა საზოგადოებრივ მაუწყებელში იმ საკონსულტაციო, მრჩეველთა საბჭოს შექმნა, რომელშიც საზოგადოების ნდობით აღჭურვილი პიროვნებები შევიდნენ. საინიციატივო ჯგუფი ენდობა ამ საბჭოს და მიიჩნევს, რომ მათი კვალიფიკაცია არის იმის გარანტია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი რეალურად გამოვიდეს კრიზისიდან. ამისათვის მათ სჭირდებათ დრო - გაეცნონ მაუწყებელში შექმნილ რთულ ვითარებას და შეიმუშაონ რეალური რეკომენდაციები, რომელიც დაეხმარება გენერალურ დირექტორს განახორციელოს მენეჯმენტის რესტრუქტურირაცია.

საინიციატივო ჯგუფი მოგმართავთ თხოვნით - საზოგადოებრივი მაუწყებლის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, გადაავადოთ გენერალური დირექტორის უნდობლობის საკითხი, ითანამშრომლოთ მრჩეველთა საბჭოსათან, რაც დაადასტურებს თქვენს სურვილს - რეალურად დაეხმაროთ საზოგადოებრივ მაუწყებელს კრიზისიდან გამოსვლაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნათელი გახდება თქვენი სწრაფვა ქვეყნისათვის

გადამწყვეტ ეტაპზე დესტაბილიზაცია გამოიწვიოთ საზოგადოებრივ მაუწყებელში, რაც თავის მხრივ, დაადასტურებს იმ ეჭვებს, რომელიც საზოგადოებაში არსებობს თქვენი პოლიტიკური მოტივირების თაობაზე.

საზოგადოებრივი მაუწყებლის საინიციატივო ჯგუფის სახელით:

დოდო შონავა-„მეორე არხის“ გენერალური პროდუსერი

თორნიკე კაციტაძე - ვიზუალური გაფორმებისა და პრომოუშენის სამსახურის უფროსი

დავით არველაძე - მარკეტინგის სამსახურის უფროსი

მაკა ასათიანი - „მეორე არხის“ პროდუსერი

ქეთევან სადღობელაშვილი - დოკუმენტური ფილმების სტუდიის სცენარისტი

კოტე ჯანდიერი - დოკუმენტური ფილმების სტუდიის ხელმძღვანელი

შალვა შენგელი - დოკუმენტური ფილმების სტუდიის მთავარი რეჟისორი

2 სექტემბერი, 2013